საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

98-01-2-202001131441

N 01/98
13/01/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 20 აგვისტოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსი (საკონკურსო განაცხადი N CNT190000093) ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე. კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს „არტსტუდიო პროექტი“, რომელსაც დაეკისრა კონკურსით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი წარდგენის ვალდებულება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-20 მუხლის შესაბამისად ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის მომზადება დაქვემდებარებულია სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. ამავე კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად დამგეგმავი ორგანო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს სკოპინგის განცხადებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 25-ე მუხლის შესაბამისად, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშს. წერილს თან ერთვის:

- ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია;
- პროექტის განხორციელების ადგილის შეიპ (shp) ფაილები.

დანართი: 31 გვერდი და 1 rar ფაილი

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

მინისტრის მოადგილე